ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:ბ37. 37262882

თარიღი:15/10/2026

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომის მოწვევის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტის, მე-3 ნაწილის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის №1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 51-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტისა და მე-3 პუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის წინადადებით, მოწვეულ იქნას საკრებულოს რიგგარეშე სხდომა მიმდინარე წლის 16 ოქტომბერს 12:00 საათზე (მის: ქ.ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზი).

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ი.სიორიძის ქ. №14).

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი